

საქართველო
კულტურული მუნიციპალიტეტი

ნაკარისი



საქართველოს კულტურული მუნიციპალიტეტი

ი ვ ლ ი ს ი

No 13

1910

მარი წლივანიავას.

წევაზე და გერმენი

ଶବ୍ଦାଳକ୍ଷଣ.

I—	ସାଧ୍ୟାର୍ଥୀଙ୍କ ନାମାଲ୍ଲାଙ୍କ,—ଜ୍ୟୋତିଶ, ଧୀରଙ୍ଗ ପ୍ରେସ୍‌ପ୍ରକାଶକୀୟଙ୍କ.....	3
II—	ମାର୍ଗପ୍ରକାଶକୀୟଙ୍କ ମଧ୍ୟ ଶବ୍ଦାଳକ୍ଷଣ,—ପ. ତାମିରତାମ୍ବିନ୍ଦୀଙ୍କ.....	5
III—	ପ୍ରପରାମଦା କ୍ଷେତ୍ରରେ ପ୍ରକାଶକୀୟଙ୍କ,—(ପ୍ରକାଶକୀୟଙ୍କ ପରିଚୟରେ ପ୍ରକାଶକୀୟଙ୍କ.....	10
V—	ବାରଦିନ ପାଠୀ,—ଅଧୀକ୍ଷ ପାଠୀ, ୧. ମାନ୍ଦିଆମ୍ବିନ୍ଦୀଙ୍କ.....	15
<u>IV</u> —	ଜନଲାଙ୍କ ଓ ସମ୍ପର୍କ, — (ତାମିରତାମ୍ବିନ୍ଦୀ) ପ୍ରକାଶକୀୟଙ୍କ.....	16
<u>VI</u> —	ପ୍ରାଚୀନକ୍ଵେଲ୍‌ଗ୍ରନ୍ଥଙ୍କ,—(ତାମିରତାମ୍ବିନ୍ଦୀ) ପ୍ରକାଶକୀୟଙ୍କ.....	20
VII—	ଅ) ଅନ୍ତର୍ଭାବ,—ବ) —ଶବ୍ଦାଳକ୍ଷଣ,—ବି) ଅମୀପାନ୍ତି,—ବ୍ୟାଖ୍ୟାନ ଓ ଅନ୍ତର୍ଭାବ.....	24





စေတန်ပါဒီ ၈၀-VI.

№ 13

၀၃ ဧ ၁၉၁၀ ၅.



ပုဂ္ဂလိက၊ ရှေ့ချောင်း၊ နှင့် မြန်မာ ပို့ဆောင်ရေး ဂေါ်မြို့မြို့၏ ဌာနပြည်တော်၊ အမြန်ဆုံး။

ଶିଳ୍ପାଳିକା

I—ଶାହୁମାନଙ୍କୁ ନାହାନ୍ତିରେ, —ଜ୍ଞାନିକା, ଧୂମର ପରିପାଦିତରିତିରେ	3
II—ଶାହୁମାନଙ୍କୁ ମଧ୍ୟରେଥିରେ, —ଜ୍ଞାନିକା, ଧୂମର ପରିପାଦିତରିତିରେ	5
III—ପ୍ରୁଣିଲାଲଙ୍କାରୀ ପରିପାଦିତରିତିରେ, —(ପରିପାଦିତରିତିରେ) ପରିପାଦିତରିତିରେ	10
V—ଶାହୁମାନଙ୍କୁ ପରିପାଦିତରିତିରେ, —ଜ୍ଞାନିକା, ଧୂମର ପରିପାଦିତରିତିରେ	15
IV—ପ୍ରୁଣିଲାଲଙ୍କାରୀ ପରିପାଦିତରିତିରେ, —(ପରିପାଦିତରିତିରେ) ପରିପାଦିତରିତିରେ	16
VII—ପ୍ରୁଣିଲାଲଙ୍କାରୀ ପରିପାଦିତରିତିରେ, —(ପରିପାଦିତରିତିରେ) ପରିପାଦିତରିତିରେ	20
VII—ପ୍ରୁଣିଲାଲଙ୍କାରୀ ପରିପାଦିତରିତିରେ, —(ପରିପାଦିତରିତିରେ) ପରିପାଦିତରିତିରେ	24





საქართველი ნაკადული

(უძლენი მგოსანის ვაკა-ფრეველის).



იყვარს მთიდან გაღმომსკდარი,
მოჩეხხესე ნაკადული;
მიუვარს მისი სიკისეასე,
სიცელქე და სიხარული!

კლდიდან კლდეზე მარჯად მოხტის
და მო არღვევს ცელქად გზასა;
შეებით სავსე არქ-მარქს
კვლავ დასძახის სიძღვრასა!

წმინდაა და კრიალაა
მთის მკრძინა მონაწერი,—
ზედ და ჰეურებს ექავილოთ კრება
უერადი და სამური!

აქ ჩირგვები დაცვარ-ნამა,
იქ ბილილას მოულხინა
და გოლვისგან გამსმარ ეანას
მან სიცოცხლე მოუვლინა!

ცხვარიც იქით ეშურება,
სადაც მოსჩქევს ნაკადული,—
სადაც ჰევავის ნაზი ია,
ვარდ-ზამბახი და სუმბული!



ոյ ըրմանձս միջմեն և օտքարշալս,
ոյ ջամբարութ և սալլամպշա;
պրուզալցածոց քամենիան
ոյ և սօմբարակ և սաճմշա!

და მცე მიუვარს მთის ნაჩქეფი,
მოჩუხხუებე ნაკადული;
მიუვარს მისი მარდი სტომა
სიძეებულებე, სიხარული!

ଲୋକଙ୍କ ଜୀବନପିତ୍ରଙ୍କ.





მამაცი მკურნები

(ულვი დ. აბელიშვილს)



ა სალხენია ბავშვობის დროის მოგონება, რა
მიმზიდველია უდარდელი ბავშვობა!

თვალწინ მიღვია დიდის სხის ამბავი. მა-
მინ კერცხა წლისაც არ ვიქწებოდა. მთელი
წელი თვასი ალავერდი წავიდა სალოცავად; დიდის ვა-
ვაგლასის შეძლება, მეც წამიერანეს,— ჰო, დიდის ვა-ვაგლასის
შეძლება, რადგან იმ წელიწადს სკოლაში სიარული დაბწევები-
ნეს და ალავერდობა-კი სწავლის დროსაა და სწავლაში მო-
ცდენა ხომ, ბების სიტყვათ, კლდეზედ გადავარდნაზე უარესი იქო.

ალავერდი, სადაც მთელი კახეთი იქრის თავსა, დაქობა
სამს დღეს გრძელდება და უფრო მეტსაც. დღეობის გათავების
შეძლება, წვენებშა გადასწევიტეს სათევზაოდ ალაზანზედ წასუ-
ლივნენ, რომელიც მღიერ ახლო იქო. და რადგან მოხუცი



ბებია ჩემი იქვე რჩებოდა, სად შემიძლიან მოხუცეს იქ სისტემური რულით, ჩვენი დატოვებაც გადაწევეტილი იქო.

მე და ჩემი ორი ბიბაშვილი მლიერ დავდონდით, ზღუ-
ქუნი დავიწევთ, მაგრამ დიდები გვაჩუმებდნენ: „დაწენარდით,
აქ დარჩით, საღამოზე ამოვბრუნდებით და წითელს თვეზებს
მოკიტანთო“, მაგრამ ის-კი დაჭვიწევებოდათ, რომ თავისს
ნათქვამს ბავშვს ვერც წითელი თვეზი დაამშვიდებს და ვერც
ვეითელი. მაინც თავისი გაირანეს და როგორდაც გაგვეპარნენ.

ჩვენ, სამთავრო, გადაწევიტეთ სამრეკლოდან იმათი გზა
დაგვეზვერა და მერე წავსულ იუავით. მეთაურობა, ცხადია, რომ
ვორც უფროსს, მე მერგებოდა.

გზის ზეერგა სამრეკლოდან დიდხანს მოგვინდა, ჩემი ბი-
ბაშვილები-კი მაჩქარებდნენ, კინდა თუ არა, ჩქარა გზა იმო-
ვეო, მაგრამ გზა, წევული გზა ტექმი იკარცებოდა და ტექმი
სომ დათვები, ტურები და მგლები იუვნენ? მოგვწეინდა გზის
თვალიერება და მაღალ სამრეკლოდან-კი ძირს ჩამოვჰლა სა-
ზართ იქო.

ამ მთისა და იმ მთის ლაპარაკში სამიგეს იქვე ჩაგვძინებოდა.

შეიძლება შეა დევმდინაც გვძინებოდა, რომ დროზე ამო-
სწრებულს ბერს არ გავედვიძებინეთ.

ახლა ისევ წუხილი შეპიმენა, თუ ალაზნისკენ გზა საით იქო.

დიდის უომანის შემდეგ, ბერსა გვითხე:

— ზაპავ, ალაზანი ძორს არის? აი იქ, ტექმი იქით, რომ
წევალი მოსჩანს, ის არის, არა, ალაზანი?!?

— ყო, ის არის, ბალდო, ძორს რად იქნება?

— მერე, იქითენ რომ გზა მაღის, ტექმი რად იმალება?

— ის გზა, იქიდან ტექმი რომ გაივლის, ალაზანთან მიდის.

ჩვენ ამ ლაპარაკში ძირს ჩამოვედით, ბერი თავის გზას
გაუდა და ჩვენ — ჩვენსას. თავიდან არ გვმორდებოდა უიქრა
ალაზანზე წასვლისა.



დაგადექით გზას. ალაზანზე წასელა გადავწევიტჭალების პირს მივატანეთ, მაგრამ ტექში გასვლა? მე აზრი შევიცვალე.

— იცი, მიტრო, რა გითხრია? მოდი, რაი ჩვენებს არ უვარებოთ — დავიკარგოთ, — მივმართე ჩემს ბიძაშვილს.

— რას ამბობ, ბიჭი, როგორ თუ დავიკარგოთ, მერე დედაქმი რომ გამიჯვავდება?! — სთქვა ესა და შებლი შეიკრა, მოიღორუბლა და სატირლად მოემზადა. ტირილი-კი გაუთავებელი იცოდა, ზედ რომ გადაჭვედომოდით, ვერ დაბარუმებდით.

— ეე, რა სულელი ხარ, კი არ დავიკარგოთ, — სიტევის გამოსწორება დავიწევ, — მივევეთ ამ გზას და ალაზანზე მიაგვიუბნს, იქ თუშები დაგეხვდებიან და იმათ გავევეთ, ისინი ხომ ქარგი ხალხია, სულ ქარაქსა და ნაზუქებს გვაჰშევენ. აგრიუბნენ ცხენებით მთაზე და იქიდან ალექსისავით გადმოვქახოთ:

„მშვიდობით, ჩვენთ საუვარელო დედ-მამავ!“

ეს უქანასკენელი აზრი და მეტადრე კარაქისა და ჩაზუქის ჭამა ძალიან მოეწონათ.

— ქარგი, ქარგი, წავიდეთ! — ერთხმად იძახდნენ ორივენი.

შევედით ტექში: ეველაფერი, რაც-კი რამ საძირი გაგვიანა, ეველაფერი მძინი მოგვაგონდა. სად მგელმა კაცი შეჭამა, სად ტურა ემაწვილებს იტაცებდა და კარევ ბევრი ამისთანები.

— მერე, ბიჭი, დათვი რო დაგვჭდეს?! — შიძით შემეცითხა დათიკო.

— თუ დათვი დაგვჭდა, რისა გეძინიანთ, — (თუმცა მე იმათზე ნაკლებ არ მეძინოდა) — გავწევთ მიწაზე და ზუნთქვა შევიკრათ. დათვი მაძინვე თავს დაგვანებებს. — მეტი რა მალა ჰქონდათ, ჩემი რჩევა დაიხსომეს.

გასაკვირველი არ უნდა იუს, რომ ნახევარ საათი არც-კი გვევლო, გზა აგვერია და ტექსთვის თავი ვეღარ

დაგვეჭრია. თუმცა ერთმანეთს ვამსნევებდით, მაინც ღიღწევითა მიშმი ვიუავით. სამხრობის დრო წამოვიდა და ალაზანისკი ჯერ არსად სჩანდა. ჯერ ბეჭადს გული როგორ გამიტედა და ჩემ თბაძგზავრთა ამბავს ნუდარ მკითხავთ: შიმშილისაგან ცალკე და შიშისაგან პირებ ცალკე ძლიერ-და მივლასლასებ-დით.

უცებ რაღაც ბღუილი შემოვესმა. ჭირის ოფლმა დაგვასხა. დათიქო და მიტრო სატირლად მოემზადნენ.

— ჩუმად იქავით, გაწექით მიწაზე, მკონი, დათვია! ბრძანება და ასრულება ერთი იუ. გავინაბენით.



რაღაც დიდი ცხოველი ლაწა-ლუწით ჩვენს კენ მოდიოდა, მმიმედ მოგვიახლოვდა და სათითოდ დაგვსუნა. მერე ერთი ჯადოშუალა და პირი იბრუნა. ქვემიდან დიდის სიფრთხილით თვალის ქუთუთო ავწევ და ჩემს თვალებს დაუჯერებელი სასახაობა წარმოუდგა: ჩემ თავს ახლო ქამები იდგა, სწორედ ჩვენი ლობი ქამები.



სიხარულით წამოქმნი და ელტე მოვეწვიე, ღათისკონა მიტოც ხომ სიხარულისგან ცერცვივით სტოდნენ.

ჩვენს ქივილ-ხივილზე ჩვენი მოჯამავირე თეღო წამო გვაძგა. თურმე ნუ იტევით, ჩვენს იქ არ უოფნას ბებია ჩემი ძეუუიქრიანებია და თეღო გამოეგზავნა ჩვენს საძებნელად. თეღოსაკი კბძებიც დაჭეროდა და ეველანი ხომ ახლა გვი- პოვა!!

თუშებთან წასვლის ფიქრზე სელი აკიდეთ და სიხარულით ჩვენიანებისკენ გამოგწიუთ.

ვ. თამროშვილი.





ცეკვეობა და თავისუფლება.

(დასასრული)



ური დამიგდე: ერთხელ უდაბნოში დიდი გრი-
 გალი ბმოვარდა; ისეთა-კი არა, აქ, თქვენში
 რომ იცის,—არა, უფრო საძინელი და თავ-
 ზარდამცემი... ცას შავი ღრუბელი გადაეფარა,
 კოკის ბირული წვიმა წამოვიდა, ელვა მზესა-
 კით ანთებდა და ჭექა-ჭექილით იქაურობას
 აურუბდა... სწორედ ამ დროს მამა ჩემმა მითხრა:

— წამო, ძვილო, ეცორილი გასწავლო.— გამოვედით ცხვირ-
 წამოწვდილ კლდიდან, რომელიც თავშესაფარად გვქონდა არჩე-
 ული უამინდობის დროს, და მასმა მითხრა:



— თავი მიწაზე დადე, აი, ასე და უური დაუგდე, ჰქონოს თუ არა, შენც იმის გამოძახილსაჭირო დაიღრიალე... მე, რასა კვირველია, მოვევე ი ღრიალის, რაც-ეი შემძლო...

— უობად! ბარაქალა! მაღიან კარგი! ახლა უური დამი- გდე მე,— მითხორა მამამ, დადო თავი დედამიწაზე და, გაისმა თუ არა ჭიქა-ქესილის გრიალი, იმანაც შეკლრიალა და შეტე- რიალა ზედიზედ რამდენ ჯერმე, თანდათან უურო მძღვრიად და მძღავრიად... მისი ღრიალი ისე ჰყავდა ქუსილს, რომ ვერც- ეი გარჩევდი ნამდვილ ქუსილისაგან.

ახლა მე მოვევე გიდგვ ღრიალის, მაგრამ ჩემი სმა ქუსი- ლის სმაში იკარგებოდა... ოოდესაც დაღალულ-დაქანცული და მთლად დასკელებული ბუნაგძი შეგბრუნდით, დედა ჩემმა მო- მიალერსა, თავზე თათი დამისაც და მითხორა:

— უი, შენ-კიგნაცვალე, ჩემთ დიდოებაცო, მაგ სმამი, რომ ასე მშენივრად ღრიალებდი!... აბა, მამი შენის შვილს ურიგო სმა და კილო რად გექნებაო? თავის ღროზე, შეიძლო, შესნი- შნავი სმა დაგიდგება, რამდენადაც ავარჯამებ და ფილტვები გაგომაგრდებაო...

ამის შემდეგ მამამ ნადიობა და საწევებინა. უნდა გითხორა, ჩვენ, ღომებს, ღდისით გვეინავს სოლმე და ღამ-ღამობათ ვნადიობთ, რადგან თვალები ისე გვაქვს მოწეობილი, რომ

ბნელაძი უურო კარგად ვხედავთ. ნადარობაში დედა ჩემიც გვშველოდა და ვცხოვრობდით ჩვენ სამნი კარგად და ბენიერად.

— თუ-კი მაგრე კარგად იქავი, აქ რამ წამოგიუვანა აუ- რიკიდან? — ჰქითხს ბეღურძმ.

— ეს ჩემი ბრალი არ იქო, ჩემთ კარგო, თორებ ვინ თავშეკვდარი წამოვიდოდა იქიდან! იქ მიჯობს მავი სიკვდილი, აქ სიცოცხლეც-კი იმწარის!!!...

— აი, ეს როგორმოხდა: ერთხელ სტუმრად წაეელ ჩემ ამსანაც ლომის ლეკვებთან.. ჯერ კარგა სანს ვთამაშობდით, ვნტუნაო-

ბდით, ვცელქობდით... ეჭ, ნეტავი იმ დროსა!.. მერე სირმარტე
სამი გავეჯიბრეთ ერთმანეთს და მე ეველას წინ უსწობდრო,
ისეთი გაქცევა ვიცოდი... ბოლოს „პეპემალულობა“ მოვიგონე
და ამსანავებს ვემალებოდი ისე, რომ დიდხანს ვერ ვეპოვნეთ.
და მართლაც ისე მომიუდა!...

— მახლობლად ბზის ტე იუო, გაფიქეცი და იქ უნდა დავ-
მალულიყავ... უცებ რაღაც კიკინი შემოქმედა... დაუგდე უური
და ციკნის ხმა იუო... ბიჭის! ეს კაი ლუქმა გამიჩნდა მეტქი,
ვიფიქრე, ცელქობას თავი დავანებე... ხმა თანდათან ძლიერ.
დებოდა და კბილებმა კაწებწი დამიწეო. გავინაბე, ავიკრიფე
ფეხები და მივეპარე იმ აღვიღს, ხაიდანც ხმა მოდიოდა...
ბოლოს ციკანიც დავინახე. მე, სულელმა და თვალ-დამდგარმა,
არც ვაცივე, არც ვაცხელე და ერთი ჩემებურად გადავწრი,
რომ მსხვერპლი ქვექ მომეგდო და მაგრად დამებუბნა!. მაგ-
რამ, დახე უბედურობას! ფქს ქვექ ნიაღავი გამომეცალა და
უცებ ღრმა კრიმი-კი ზღართანი მოვიღე... როცა გონება შე-
მოვიტრიაფე, ფეხები თოვით ვამსლართოდა და საძრაობა აღარა
მქონდა.. დავადე პირი და მოვრთე ღრიბლი... ამ ეკირილზე
მონადირებებმა მოირბინეს და, რა ნახეს ჩემი მდგომარეობა,
ხითხითი და მსიარელება შეუდგათ. მერე გაცხარებული ლა-
პარაკი და შხადება დაიწეს და მაღლა ამომათრიეს. დარწმუ-
ნებული ვიდავი, რომ ფეხებს გამისსნიღნენ და გამაშევებუნენ;
მადლობის ნიმნად შეკბლავდე. მაგრამ იმ ბოროტებმა სი-
ცილი დამაურეს, მასხარად ამიგდეს და, გაშვების ნაცვლად,
რკინის გალიაძი შემამწევდიეს, წამიევანეს, ხომალდის ერ-
დოზე მომათავსეს და, ვინ იცის, რაძევნი ხანი მაგარეს, სა-
ნამ ევროპაში მომიუგანდნენ!...

— უი, შე საცოდაო, რამდენი ტანჯვა გამოგივლია!..
იქნება არა გაჭამეს რა იმ სნის განმავლობაში?! ხომ შიძ-

შილით მოკვდებოდი, პე საწეალო!.. შეეღურტება გულისუფლება ტკივრობით ბეღურამ.

— როგორ არა, ჭამით-კი მაჭევდნენ და დიდის სიფრა თხილითა და მხრუნველობით მექურეობნენ, რადგან რაც უფრო კარგი ძეგლებითა მექნიზმით, იმდენად მეტ ფასად ვამედოდნენ... მაგრამ „რად მინდა ტუსაღს ალერსი, ეს მოუვრობაა ტბილით და ვინც ამ დღეში ჩამაგდო, ღვთისაგან იუოს კრულით“, სთქობა ლომბა და ამითოხრა. ჩემი ქალაქში ჩამოუვანის დღე სწორებ ძესანიშნავი დღე იყო. სელად რამდენიმე შუბტარი გამომიჩნდა და მძინავდნენ, მათგალიერებდნენ გაკვირვებით. ბოლოს ერთმა ცირკის ჰატრონშა მიეიდა და თორმეტ ფერად-ფერად კრეალში მახტუნებდა. ეს დიდ სიამოვნებას ჰეგროდა საზოგადოებას და ჩემ ჰატრონს დადგალი ფულიც შემოსდიოდა. მაგრამ ბოლოს მაინც გაკოტრდა და მე საჯარო კაჭრობით გამეიდეს. იმ დღეს უკანასკნელად გამომიერვანეს სათამაშოდ ბუარებელ სალხის წინ მუშტარს მალიან მოვეწონე, ჩემი წონა თქო დაუთვალა ჩემში და აააქ მომიერვანა..

— რა გიჟირს მერე! აქაც საზოგადოების საევარენლი ხარ, — წასჩერნელა ბეღურამ: — ნეტავი მეც მენისთანა ჰატივის-ცემაში ვიუთ!..

ლომბა ამასე ჰასუხი არ მასცა ბეღურას. დაეძვა მირს იატაკზე, მედიდური, ბან ჯგვლიანი თავი თათებზე დაიდო, თვალები სადღაც სივრცეში მიაპერო და მდგრანე ფაქტებს მიეცა.. ბეღურამ უეურა, უეურა და, რაკი ლომბა სმა ბაბარ გასცა, თავი დანება, რომ ბევრი კითხვებით აღარ შეეწუხებინა და კიდევ სხვა დროს ენახა. გამოურინდა გალიდან და თავის მომექვებთან გაფრინდა თავისუფლად. ბეღურას ფთხობილმა ლომბი ფიქრიდან გამოიერვანა. უდაბნოს დატევებულმა მეფემ მიმ-

ფრინავ ბეღურას თვალი გააეთლო, ღრმად და მწუხარედ ამონალიონია
თხრა და თვალებზე გამოუთქმედ მწუხარების ნისლი გადაე-
ფარა... ამაქმა ლომისა, უდაბნოს მეცემ ერთ ნამჟეკა ბეღურას
შენატრა თავისუფლება და ბეჭნიურება.

თეო. კანდელაკი





ხერგი პატა

იგავ-არაკი

კორთხელ კატამ შემჩნია:
 ციციტი ბუდეს აძენებდა;

მაღლა იქო მეტის მეტად,
 ბუმბულებით ამშვენებდა.

გამოხეყა რა ბდარტები,
 ქატა აღარ ასვენებდა;
 მას სიმღლე და სიძორე
 სრულებით არ აშინებდა.

ერთს სადამოს სიდან ხეზე
 გადავიდა ძლივს წვალობით.

მავი კატაეუნება:

კედარ მოხვალ ძინ მშვიდობით!

— დანებე, ჩამო დაბლა,

აქაცა გვაქვს სამუოფელი!

— ეს მოწევისა, აღარა მსურს,

სხვა საჭელა აქ მოველი!

კატამ აღარ "გაუგონა,

მიცოცავდა, თათხა სცემდა;

ჩამოგარდა ძირს ტრიალით

და ხედს ძლივს-და იბრუნებდა!

ა. შანშიაშვილი.





კოდო და სპილო.

კრთხელ კოდომ უთხრა სპილოს: — „რა დიდი და ძლია ერი ხარ ჩემთან შედარებით! ათასჯერ უფრო ზორ ბა ხარ! თქმა არ უნდა, მაგ სიდიდით და ღონით ათასჯერ ბეჭნიერი ხარ ჩემსედ!

— ნუ ამბობ შაგას, — უთხრა სპილომ. — ნმირად ვნარითბ, შენს ძლაგას ვიცო და შენი გარევნობა მქონდეს. რაღაძი უნდა ვარებებდე ბეჭნიერებას? რას მმატებს ჩემი სიდიდე და ძლიერება? ისევე ვცხოვობ, როგორც შენ, ან სხვანი; მე ხომ ამასთანავე ისეთივე სამაგელი ვარ, როგორც ტანით მცირენი, ათას წილად საძაგელი, ვიდრე შენ! რაძღვნი უნდა ვიზოზით და ვიხვეძო, რომ ვძლიო ჩემს სიმძი მეს და როგორმე ადგილიდან დავიძრა! შენ-კი მსუბუქად და

მარდად დაზუსუნებ ჰაერში, რაღაცაც თვით ჰაერი ხელი და უკავებების უმაღ და სწრაფად შეგიძლიან გაჩნდე, საცა გინდა! მე კი რამდენი უნდა ვიზღაუნო და ვიცე თავში, ვიღრე მივაღ იქ, საცა მისასვლელი გარ.

— დიალ, მაგრამ, აბა, ახლა მე შემომხედე, — უასესა კოლომ, — როდესაც თამაშობის ღროს უცაბედად ვისმე ახლო გავივლი, კაცი იქნება თუ პირუტევი, საჯმარისია, მსოლოდ ოდნავ გააქნიოს ხელი და მაძინვა უნდა გავქრე. პატარა ბიჭი მსრესავს თავის თრის თოთით და სამურვლის აღი მსპობს, კითარცდ ბოლის. უკეთას საზრდოდ მე ვარ გაჩენილი, ბუზიც კი ჩემის ჭამითა სუქლიბ!

— ჩემი ცხოვრება რიღათის უკეთესი? — უთხრა სპილომ. — ლომს და გეგუს ჩემსედ უჭირავს თვალი, თვით ფოცხვერნი და კატუნიებიც კი მიბრუვებებს სოლიქ, როცა ბევრი არიან ერთად; კაცმა ხომ ღერაბუდანად მოსპო ჩენი გვარეულობა თავის ცეცხლ-მფრქვეველის იარაღით! თუ ისე ადვილად და სწრაფად ვერ მკლავენ, როგორც შენ, სამაგიეროდ, ჩემი მეტები ღონიერები არიან და მე იმათ ისე ადვილად ვერ გადურჩები და დავემალები, როგორც შენ! მერწმუნე, დიდის სიამოვნებით გაგრცელიდი ჩემ ბეჭს, რომ მოხერხდებოდეს.

„ოდო მაინც არ ერწმუნებოდა და გუნებაში ფიქრობდა: „მსოლოდ იმიტომ ამბობს, რომ სთქას რამე; სიბრალულით მიუურებს ჩემის სიბრავის გამო და უნდა ვითომ მანუგაშოს.““

უცებ მოისმა „ბუჭ, ბუჭ“ და სპილომ სიმწვდევისაგან შეჰბლავლა — ტევია ძიგ უერის მირშა მოხედა. ლელიანიდან გამოვიდა ორი ცხენოსანი და სელაბლად ამთიღეს სპილო მიზანში. სპილო სიმწვდევით შეხტა მაღლა და დაეცა; მონადირენი მიუხტნენ და დაასალეს თოვები.

„რა რიგ მისარიან, რომ მე ახლა კოდო ვარ და არა სპილო!“ — სთქა გულში კოდომ და გაიზუსუნა ლაღსა და თავისავით სუბუქ ჰაერში.



ჭიანჭველები.



ესე, დედილო, ამ მიწის გრძელას რამდენი
ჭიანჭველა ახვევდა გარს, როგორ სწრა-
ფად დარბიან აქეთ-იქით, თითქოს საქმეს
აკეთებდნენ! აი, შექედე, ერთი სამ თავის-
ოდენა ჩაღას მიათრევს! — ეუბნებოდა დედას
პატარა პარო.

— ისინი მართლა საქმეს აკეთებენ, შვილო, — მიუგო
დედამ: — ეს ამაღლებული მიწა ჭიანჭველების სახლია, თვითონ
აამენეს. ამ პატარა ჭიანჭველებისაგან ამოდენა შენობის მო-
წეობა ცოტა შრომას არ მოითხოვდა. ამათი სახლი იც სარ-
თულიანი იქნება; ზოგი სართული შიგ მიწაშია, ზოგიც ზე-
მოდან დაერილს მიწაში. თითოეული სართული რამდენსამე
ოთახად არის დაეთვილი. ეს ოთახები შეერთებულია დერეფ-
ნებით. ზოგი ოთახი საჭარბოსათვისაა დანიმული, ზოგიც
ჭიანჭველის პატარა შვილებისათვის, რომელთაც უვლიან და

ეურს უგდებენ საგანგებოდ დაუენებული ჭიათურულები. მატარა ჭიათურულებს, როგორც გადა ჰავარა ბავშვებს.

ჭიათურულების სადგომი მხოლოდ ერთად-ერთი დედა-ჭიათურულაა, ანუ დედოფლი. როცა დედა-ჭიათურულა მოძორდება ჭიათურულების სადგომს და ცალკე დასახლდება, თავდაპირებულად თვითონ ზრდის და უკლის თავისს ძვილებს, მაგრამ, როცა თვასხობა მომრავლდება, მასინ დედა ჭიათურულის ზრუნვა მხოლოდ კვერცხების დებაა; დადის ბედები აქეთ-იქით და, სადაც მოუხდება, სდებს კვერცხებს. ეს კვერცხები ისე-თი პაწარწყინებია, რომ უბრალო თებლით ვერც კა ძეამჩნევ. უნდა გითხრა, რომ ზოგი ჭიათურულა ფრთიანია, ზოგი უფრთო. ფრთიანი ჭიათურულა წამოიზრდება თუ არა, მაშინვე გაუწინდება, სტოკებს თავისს ძველს ბინას და ძეუდგება საკუთარ თვასხობის მოწეობას, იწებენ კვერცხების დებას, მამლები კა მაღლე იხთოვებიან.

უფრთო ჭიათურულებს მუძა ჭანთურულები ჰქებიან; იმათ საკუთარი თვასხობა არა ჰქებვთ და მთელს თავის სიცოცხლეს პატარა დებისა და მმების მოვლაში ატარებენ. დასდებს თუ არა კვერცხებს დედა-ჭიათურულა, მუძა ჭიათურულები მაშინვე აგროვებენ, იდებენ რამდენსამე ერთად ჰირშა, აქეთ-იქით ატრიალებენ, ასკელებენ და ძემდეგ გადაქვთ ცალკე მოზაფებულს ოთახში და იქ ერთად ალაგებენ; მაგრამ ამით საქმე არ თავდება, კარგსა და მზიანს ძმინდები ზევით მოაქვთ მსეზე, დაძღმობით ანუ ცუდ ამინდში გადაქვთ ძირის სართულები.

— დედილო, ძენა სიტყვი, რომ ჭიათურულის კვერცხები ისე პატარებია, რომ თვალითაც ვერ დავინახავთო, აი, ძექ ამ ჭიათურულების სახლში როგორი დიდონი კვერცხებია, ჭიათურულებზე უფრო დიდი.

— ეს კვერცხები კა არა უუმჯობები არის, ძვილო. კვერცხებიდან ჰირდაპირ ჭიათურულები კი არ გამოდიან, თავდრინის

გელად კვერცხები გარღიქმნებიან მატლებად. აქ მუშა ჭიანჭველაშვილისა და მუშა სხვა საზორუნოები უწინდებათ. მატლები უნდა მუდმივ ჰქოვებონ. სანამ ზოგიერთი მუშა ჭიანჭველა ამ მატლების გამოკვების ზრუნვაშია და ასხამენ პირში მოტკბილო სითხეს, სხვები ამ დროს დარაჯობენ; ისინი უკანა ფეხებზე სდგანან, მომზადებული არიან, რომ მოახლოვებულს მტერს სიმძავე მიასხან. ჭიანჭველების სანუკარი საჭმელია წებოდანი მოტკბილო ჲითხე, რომელიც გამოიდას პაწაწეინა მწერების—ბალახის ტილის ტანიდან. ამიტომ ჭიანჭველები ბინა დრობენ ისეთს ადგილას, სადაც ამისთანა მწერი ბლომად იცის.

ჭიანჭველების მატლებისათვის, გამოკვების გარდა, საჭიროა სისუფთავეც; ამიტომ მუშა ჭიანჭველები იმათ ხშირად ჲლოკავენ და ასუფთავებენ. რამდენისამე ხნის შეძლება, მატლები უუმფლებად იქცევა. ეს უუმფლებია ის მოურძო და თეთრი სსეულები, რომელსაც საზოგადოდ ჭიანჭველების კეუცხების ეძღვის ეძახან და რომელიც ფრიად სანუკარი საჭმელაა ბულბულებისათვის.

უუმფლები საზრდოს არ საჭიროებენ, მაგრამ აქაც საჭიროა იმათი გადატანა სან შეზე და სან ჭიანჭველების ღრმა სადგომში. როცა უუმფლების ჭიანჭველებად გადაქცევის დრო მოვა, მუშა ჭიანჭველების დაუხმარებლად, მაძინაც არა კეთდება. არა: ისინი ფრთხილად ჲლორნიან პარკის მაფებს, აკეთებენ პატარა ჭუკრუტანას, საღამისც გამოიდან პაწაწეინა ჭიანჭველები, განვეულები საცველში, არტახებში, რომელსაც აცლიან მუშა ჭიანჭველები. ბოლოს, როცა პაწაწეინა ჭიანჭველები სრულიად გათავისუფლდებიან, მუშა ჭიანჭველები ჰქოვებავენ ასალგაზდებს და, გამდლების მაგივრად, აღმსრდელები ჭიანჭველებიან: ისინი ასწავლიან პატარებს ეველაფერს, რაც კი უნდა იცოდეს ჭიანჭველამ, მუდამ უკან დასჭევენ და ერთს

მშვენიერს დღეს აღზრდილი და მოვლილი ჭიათურულები უწყისებია უკავშირით ლიან ფრთხოს გასაფრენად; ამ დროს აღმზრდელი ჭიათურულები ნადვლიანად ქმორდებიან თავიანთ აღზრდილების, თის თქოს უმძიმთ განმორებათ, ნაზად ეალერსებიან განმორების დროს.

ჰაწაწვინა ჭიათურულების მოვლის გარდა, მუშა ჭიათურულები ზრუნავენ შენობის აგებისა და შეკეთებისათვის, აკრედიტები სარჩოს მისაბოლობლად; როგორც ქსედავ, საქმე ბლობად აქვთ, მსოლოდ საკვირველია, როგორ ასწოობენ უკელაბერს.

ჭიათურულები სხვა ცხოველებს თავს არ დაესმიან, მაგრამ თუ ვინმებ გააჯავრა, მამაცურად იგერებენ მტრებს. ერთ-მანერთშიაც სძირად ომობენ. ჩვენმი ჩვეულებრივი ჭიათურულები შავი და მოწითანოა, რომელთა მორის მუდმივი ომია. ერთი კაცი იურ მოწამე ჭიათურულების ბრძოლისა. მოქლი კროვა მოწითანო ჭიათურულებისა გაემართა შავ ჭიათურულების უბისაკენ, რომელთაც ბინა ჰქონდათ ბებერ მუხის მირში, სადაც ბლობად იურ ბალბის ტილები და მიწის ჰატარა ჭიები. ამათ უნდოდათ შავი ჭიათურულებისათვის მოხერხებული ბებერ წაერთიან და თვითონ დასახლებულიერენ. ბრძოლა მოჭედა დილით ადრე, როცა კერ კარგად გათენებულა არ იურ. მოწითანო ჭიათურულების რაშმს ალბად ეკონა, ერთბამად დავისმით თავს მძინარე მტრებსათ; შავ ჭიათურულების ბინის ახლო იმათ დაინახეს ჩალა, დარჩომილი ჭიები და სხვა სანოვაცე; ცხადია შავ ჭიათურულების ომი არა სურთ და გადასახლებას აპირებენ, გაქცევის დროს დაეფანტათ სანოვაცე; ასე ფიქრობდნენ ალბად მოწითანო ჭიათურულები; გასარებული იეგნენ, ადგილად გავიმარჯვებოთ და აქეთ-იქით დაიფანტნენ, რომ მალე უომრად ხელთ ეგდოთ შავ ჭიათურულების ბინა; მაკრამ უცებ საფრიდან გამოვიდნენ შავი ჭიათურულების რაშმები; ისინი უთვალთვალებდენ მტრებს საურე-

ბირან და გაფანტული სანოვაგე შეოლოდ სამხედრო სერიალი
იქნ. უცებ დაეცნენ მოწინაძლევებთა გაფანტულს რაზმა,
ბევრი დაჭირებული და ბევრიც დაატევევეს. გამარჯვების შემდეგ,
მავ ჭიანჭველების ზედამხედველობით, მოწითანო ჭიანჭველები
იმულებული შეცმნენ უკერა გაფანტული სანოვაგე გადაეწი-
დათ მავ ჭიანჭველების საგოომში, წაეღოთ აგრძელე დაჭირ-
ლი მავი ჭიანჭველებიც, ასე რომ მავმა ჭიანჭველებმა, არა
თუ გამარჯვეს, მუშაობაც-კი დააწევებინეს დატევებულ მო-
წითანო ჭიანჭველებს თავის სასარგებლოდ.

ლ. ბოცვაძე.



ნარევი

ა 6 დ ა % ა

ჭავა საქართველოს გამოჩენა.

შ ა რ ა დ ა

პირველით მაღლასა მიუსევთ,
თუ მტერი შემოგევარა;
უკან დაიწევს წყავ-წყავა,
წინ გავარდება მუქურა.

მეორეს ხარჭად იღებენ,
წისქილს თუ დასაფეხელია.
მთელი-კი მცენარე არის,
ჰურივით შესაჭმელია.

3. 5.

არითმეტიკული ამოცანა


(დარ. აბელიშვილისა)

სეზედ ჩიტები შეფრინდნენ. თუ თითო ტოტზედ თითო
ჩიტი დაჯდებოდა, მაშინ ერთს ჩიტს აღარ ერგებოდა ტოტი
და, თუ ორ-ორნი დასხდებოდნენ თითო ტოტზედ, მაშინ ერთი
ტოტი ისე დარჩებოდა.

რამდენი ჩიტი და ტოტი იქნ?

რ ე ბ უ ს ი

4 100' ,



 საქართველო
 (ქავე)
ს
მს
მ

-

ბ .



:



-

(შარმოდგენილი დარაშვილის მიერ)



,,

-

ს
მ

-

 ილაშის
 ცოლის
 სახელი.

80-11 და 80-12 ქ.ქ.-ზი მოთავსებულ შარალის და რებუსის აღსნა:

- 1.—სკამი. 2.—ცხენს ვერაფერი და კლეს, უნაგირი და მტკრიესო.

ნაკადულის რედაქციაში და წ.-პ. ხაზ.

მაღაზიაში იუიდება შემდეგი წიგნები:

ზღაპრეზი, კილტებ და იაჭობ გრიმისა, ნაკა-
დულის რედაქციის გამოცემა, ფასი . . . 30 პ.

ცომის თავ გადასავალი, თხულება, მარქ-
ტეპნისა, გამოცემა ნაკადულის რედაქ-
ციისა, ფასი 50 პ.

რას გვიამბობს მოახი. თხულება ავენა-
რიუსისა, გამოცემა ნაკადულის რედაქ-
ციისა, ფასი 20 პ.

მილება ხელის მოჭრა

1910 წლის იანვრიდან 1911 წლის იანვრიმდეს.

საქმაწვილო სურათებიანი ქურნალი

ნაკარული

ფალიზაზი გილეაზი

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:

24 წიგნი ეურნალი „ნაკარულუ-
ლი“ მცირე წლოვანთათვის **12** წიგნი ეურნალი „ნაკარული“
მონაცემთათვის.

გარდა ამისა 1910 წლის ხელის-მომწერლებს პრემიად მიეცემათ:

I. ღიადაბივა და კულტური პარავალავი, —ზდაპარი ეკადგისა
ქადაგისა სურათოთ. —II. მაჩქვები, —ზდაპარი ეკადგისა თხაი სურათოთ.
III. თორმელი და, —ზდაპარი ეკადგისა ერთი სურათოთ. —IV. მარ-
თული შეათვალი ასომავი კუბიკიზი.

შენიდეს სედიდებანების უწევს საგანგებოდ პრემიად სარეზაქ-
ტო კომისია.

ფარი გერნადინი: წლიურად ხუთი მანეთი. ნახევარის წლით სამი მან.

სამზღვარ გარედ: წლიურად შვიდ მანეთი. ნახევარ წლით ოთხი მან.

მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი სამი მან. —მოზრდილთათვის 12
წიგნი სამი მან. —სედიდების-მოწერა შიდება წლიურად და ნახევარი წლით.
ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილი წილად.

ხელის მოწერა მიიღება:

1) „ნაკარულის“ რედაქციის, გოლოვინის პროსპ., ზუბალო-
ვის სახ., № 8, კოველ-დღე 9—2 საათ, სამშაბათობით საღამოთიც.

2) წერა-კითხების გამაცერებელ სახოგადოების წიგნის მაღა-
ზიაში, სასახლის ქუჩა, სახლი თავად-აზნაურობისა.

ნაკარულის რედაქცია სთხოვს ხელის-მომწერთ:

ვისი კურნალის ნომრები და კლდება, მიმართონ აგენტს ანუ
რედაქციის, არა უგვიანეს ერთის თვისა.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე
გამომცემელი: თბილისი, პ. ი. თუმანიშვილი.